ნიანგი

ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

20-83



— რატომ ვარ ინტრიგანი?! კაცმა განცხადებით ველარ უნდა მოგმართოთ?!

ქართული ხალხური იუმორი

კაფეში კლიენტი ქალი მებუფეტეს გაუთავებლად ეჩხუბება:

— ფუნთუშაში ბაწრის ნაჭერს რა უნდა?!

— დაგვასვენე, შე ქალო, ათკაპიკიან ფუნთუშაში, აბა, ხალიჩას ხომ არ გაგიფენდნენ?! — ბრაზობს თავის მხრივ მახარია.

●

მახარიას ერთმა ხანში შესულმა მეგობარმა ახალგაზრდა გოგონა შეირთო. ბავშვია, ჩემს ჭკუაზე გავზრდიო! —თავი იმართლა სიძემ.

— გასაზრდელად თუ აგყავდა, ბარემ ბიჭი აგეყვანაო! — ეხუმრა მახარია.

●

— რაზე დააპატიმრეს ძუკუიას ბიჭი? — ჰკითხეს მახარიას ერთ მუქთახორა და გადაგვარებულ ახალგაზრდაზე.

— წიგნი დაუწერია, ბატონო, შეცდომები უპოვეს შიგ და იმიტომ! — დაცინვით მიუგო მახარიამ.

●

მასპინძელმა მახარიას სუფრა გაუშალა. მახარია ყოველი სასმისის დალევაზე ჭიქას მასპინძელს უშვერს და ეუბნება:

— ჩამიყარე, გენაცვალე, ჩამიყარე!

ღვინის მორიგი „ჩაყრის“ შემდეგ მოთმინებადაკარგული მასპინძელი მახარიას ეუბნება:

— ღვინო სითხეა და მასზე „ჩამიყარე“ კი არა, „დამისხი“ უნდა თქვა!

— ვიცი მე მაგი, მაგრამ მაგი ღვინო კი არა, შაქარია და ჩამიყარე ერთი, თუ კაცი ხარ, ჩამიყარე! — თავისი არ მოიშალა მახარიამ.

●

სოფლის გზაზე მიმავალმა დაინახა, რომ სატვირთო მანქანის მძღოლმა განზრახ გაიტანა მისი ხბო და მოკლული პირუტყვი ძარაზე შეაგდო.

— ახლა არ მითხრა, საავადმყოფოში მიმყავსო! — შეუძახა მახარიამ ქურდბაცაცას.

●

ქორწილში მახარიას ცხენი მოპარეს.

— დამიბრუნეთ ცხენი, თორემ მამაჩემმა რომ ქნა, იმას ვიზამ!

— დაემუქრა იგი მასპინძლებს.

დიდი დავიდარაბის შემდეგ მოუყვანეს მახარიას ცხენი და ჰკითხეს:

— გვითხარი, თუ კაცი ხარ, რა ქნა მამაშენმა ამისთანა?!

— ცხენი რომ არ მიუყვანეს, მოიკიდა ზურგზე უნაგირი და შინისაკენ გასწია! — თქვა მახარიამ და ცხენს მოახტა.

შეკრიბა რამინ გოგოხიამ
(წალენჯიხის რ-ნ)

ნახ. გ. ფირცხალავასი



— რამდენი წლის იქნება ეს ახალგაზრდა შემოქმედი?

— 87-40-42-ის!..

— შე კაცო, მე წლოვანება გკითხე, ტელეფონის ნომერი კი არა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახში განებივრებული ბიჭის ბარათი ციხიდან

დედიკოს ბიჭი ვიყავი,
გულზე „ნაკოლკა“ მეხატა,
ასი თუმანი ვისესხე,
ოციც არ გადამეხადა,
ხელში კი დანა მეჭირა,
ხალხს ვეცემოდი მეხადა.
ვინც სიბნელეში ჩავიგდე,
შიშისგან რომ ვერ ყვირიან,
დავკარი, ვიყავ მართალი,
ვით ჩემი დანის პირია.
არ დამკარგავენ ქურდები,
სულ ვეხსომები ვიტალი,
ვიდრემდი საქართველოში
ტყდება ბინები მდიდარი.
სხვასთან ჩემს „დაწვას“ ნუ
იტყვი,

დამალე ჩემი საკანი,
თუ მილიციამ მიკითხოს,
უთხარი, „ნაშასთან“ არი!
და თუ ქალებმა მიკითხონ,
უთხარ, არ ვიყავ არიფი,
იქა ვარ, სადაც ხულიგნებს
„ბალანდა“ ხვდებათ ღარიბი.
არ დაიდარდო, დედაო,
რაც პატიმრობით გაწყინე,
მე შენი გაზრდის ნაყოფი
საქვეყნოდ გამოვაბრწყინე.

მახვი გიგიაძე



ნახ. გ. მორჩაძისა

უსიტყვოდ

მანქანების ტაქანება

დღეს ტექნიკის სიახლეებს აქვს დიადი გაქანება,
ხელი, ფეხი, თვალი, ტვინი — სულ შეცვალეს მანქანებმა.
მექანიკა გახდა ჩვენი შრომისა და გარჯის ბირთვი,
მის გარეშე რიცხვს კი არა, ზოგი ფულსაც ველარ ითვლის.

მანქანა და ავტომატი, მოკლედ რაღას არ გვპირდება:
ლუკმის პირში ჩასადებად ხელი აღარ დაგვჭირდება.
ამ ჩვენს დიასახლისებსაც დაუდგებათ კაი ყოფა —
დასხდებიან არხეინად, სუფრა თვითონ გაიწყობა.

მალე ისე დავასაქმებთ ავტომატებს და მანქანებს,
ალბათ, საჭმლის დასაღეჭად ყბებსაც აღარ გავაქანებთ.
ავტომატი კერძს მოხარშავს, ჩართავს უთოს, გაზის ქურას,
თმებს დაგვვარცხნის, პირს გაგვპარსავს, ჩაგვაცმევს და
დაგვახურავს.

გაგვისინჯავს მაჯისცემას, გაგვიზომავს წნევას, სიცხეს,
ცოლმა წყენა რომ დაიწყოს, ის სიმღერას წამოიწყებს.
თუ გაიგო, ჩვენთან სტუმრად სიდედრი რომ მობრძანდება,
ის იკისრებს საუზმისა და სადილის მომზადებას.

ერთი სიტყვით, ჩვენს მაგივრად თვითონ გასწევს შრომას ულევს,
კაპას რძალს და ავ დედამთილს მოთაფლავს და მოარჯულებს.
ოჯახებში სიახლოვის ატმოსფეროს ის შეგვიძენს,
თხუთმეტი წლის დამდურებულს შეარიგებს სიდედრ-სიძეს.

მამაკაცებს ბაზრისაგან დაასვენებს, მისცემს ლხენას,
ჭორიკანა დედაკაცებს ოდნავ დაუმოკლებს ენას.
შინ სიხარულს შემოიტანს და სიკეთეს დათესს იმგვარს,
ქმარს თუ ცოლი თავზე აზის, თავზე ლაფს დაასხამს იმ ქმარს.

ჭირში ლხინში, მარიფათი არ შეგვარცხვენს მისი არსად,
ჩვენს მაგივრად რესტორანში გადაიხდის ნისიასაც.
ქელეხებში პურს შეგვაჭმევს (შეშურდება ნეფის მაყარს,)
ხაშლამას რომ ჩამოდგამენ, ხელად ნიორს დაგვინაყავს.

ინსტიტუტში შესვლა გვინდა? ჩაიწერენ მხოლოდ გვარებს,
გამოცდებს კი, ჩვენს მაგივრად თვით მანქანა ჩააბარებს.
უმაღლესში უსწავლელად შევცურდებით, როგორც ტივი,
ხუთ წელიწადს ლექციებზე ვივლით ნამდვილ რობოტივით.

და გამოვალთ პედაგოგი, ექიმი თუ კირითხურო
(ჩვენ, დიპლომი გვინდა, თორემ ცოდნას, ახლა, ვინ კითხულობს?)
— „დაამთავრა ამ უტვინომ!“ — გავარდება, როგორც ტყვია,
რომ ჩავსხდებით სავარძლებში, ყველა იტყვის: „რობოტია!“..

უფროსები გავხდებით და თითქმის ბევრგან როგორც ხდება,
შტატს შევავსებთ, მთელ კოლექტივს გადავაქცევთ რობოტებად.
რობოტივით ვიაზროვნებთ, არ გვექნება ტვინი, გული,
მუქთად მოგვემსახურება გარეთ „ვოლგა“, შინ — „ჟიგული“...

აქვს ასეთი პერსპექტივა და იმხელა გაქანება,
რომ მანქანა, მოვა დრო და, ჩვენვე გვაქცევს მანქანებად.

ვანო ციცაძე

ესპანური ეპიგრამები

ფრანსისკო დე ლა ტორე

რად ჩამოგვტირის, იცი, თავ-პირი? —
დაპირების დროს კარგი იყავ, სენიორ ლუკა!..
ჰოდა, მოგვეცი, რასაც დაგვპირდი,
და, რაც მოგვეცი, წაიღე უკან!

●

ჰილ, მოსამართლეს რას სთხოვდი იმ დღეს?
ხომ ნახე, ახლოც არ გაგიკარა!
ჯიბიდან ფულს თუ არ ამოიღებ,
გინდ ამოიღე ხმა და გინდ — არა!

ხასინტო ლაბაილა მონსალესი

ეპიტაფია

ექიმი ჰილი, ღმერთი არის, ხალხო, მოწყალე,
თავს არ ზოგავდა,
ირჯებოდა, არ ეთქმის ავი!
როცა სოფელში არ დატოვა კაცი ცოცხალი,
საიქიოში გაისტუმრა თავისი თავი!

ლეანდრო დე მორტინი

ვიდრე ჩემს შრომებს აგინებს ხოსე, —
ერთხმად მაქებს და მადიდებს ყველა!
მაგრამ სულელად ჩამთვლიან ხელად, —
თუ ჩემი ქება დაიწყო როსმე!

ხუან სალინას დე კასტრო

როგორც კი მტერი შენიშნა კლიტომ,
იმ წუთში გულში ჩაირტყა დანა!..
ეჰ, სისულელე არ არის განა?! —
მტერი მეტს რაღას უზამდა ვითომ?!

ეუსებიო ბლასკო

ცოლმა აუწყა რაიმონს — ვექილს,
რომ თხოვნით მოდის ექიმი ისევ!..
„ავად არის-თქო, უთხარით ექიმს,
არ შემიძლია მიღება მისი!“

ანონიმი ავტორი

თანამდებობა უბოძეს ლამერს!
„უფასოდ ვმარხავ დღეს მკვდრებს, ხალხო,
წყალობა გყავით!..
„ოჰო, აქ კაცი, შეიძლება, გამორჩეს რამეს!“ —
და ყულფში ტკუცა
ძუნწმა ხოსემ მაშინვე თავი.

რამონ დე კამპოოსორიო

კაცი ყოველ დღეს პირღია ხვდება!..
და რომ მოკუმოს, თუნდ ერთი წამით —
ღარიბს შიმშილი არ აძლევს ნებას,
მდიდარს — სურვილი ჭამის და ჭამის.

ხუან პაბლო ფორნერი

ღარიბ-ღატაკი ვიყავი როცა,
არ მაკლდა ხალხის შეწევნა, ლოცვა!..
ვიარებოდი ტიტველ-შიშველი,
ხალხი მლოცავდა — „ღმერთო, უშველე!“
და ღმერთმაც, თითქოს, ისმინა ლოცვა —
ძალა მომცა და ქონება მომცა!
მაგრამ, რა გინდა?! — იმავე ხალხმა
შურისგან ლამის შემჭამოს ახლა!

თარგმნა **შოთა ქავთარაძემ**

ნახ. მ. აბაშიძისა

უსიტყვოდ

ნახ. ჯ. ლოლუასი

დაუზოგველი რეკლამა

წყალი ყველგან და ყველაფერშია: მიწაში, ჰაერში, ხეში. კლდეში, წიგნში, ცოცხალ არსებაში. დისერტაციაში, საჭმელში და ასე შემდეგ.

წყალი დედამიწაზე თანაბრად არ არის განაწილებული: ზოგან უზომოდაა, ზოგან კი — ზომაზე ნაკლები. ამიტომ ადამიანი ზოგჯერ წყლით იხრჩობა და ზოგჯერ — უწყლობით.

წყალდიდობა, ან უწყლობა მარტო ადამიანისათვის გახლავთ ტრაგედია. ბუნებისათვის ეს იგივეა, კაცმა რომ საკუთარი ფული ერთი ჯიბიდან მეორეში გადაიტანოს.

ადამიანის ორგანიზმში წყალი 65 პროცენტამდეა. იგი ყველა ორგანოში ერთნაირი რაოდენობით როდია. ძვალში წყალი ცოტაა. სამაგიეროდ ისეთ დიფერენცირებულ ორგანოში, როგორიც ტვინია, წყლის შემცველობა 75 პროცენტზე მეტია. ესე იგი, დაახლოებით იმდენია, რამდენიც კიტრში.

ამის შემდეგ, ალბათ, ძნელი არ იქნება იმის ახსნა, თუ რა ტვინით ვაძლევთ ბაზარში კილო კიტრში ხუთ მანეთს.

უმნიშვნელო წყალს ნამი ჰქვია, მთლად პატარას — წვეთი, მორაკრაკეს — წყარო, მოჩუხჩუხეს — ნაკადული, უხვად მოდინარეს — მდინარე, მღელვარეს — ზღვა, ამოვარდნილს — შადრევანი, ზემო სართულიდან ჩამოსულს — მეზობლობის დასასრული.

წყალი შეიძლება იყოს: ცივი, თბილი, ან მდუღარე. მდუღარე წყალს დიდი ძალა აქვს და, როგორც ცნობილია, იგი ორთქლმავალს მიაქროლებს. ალბათ ადამიანზეც ამიტომ ამბობენ დამდუღრულივით გაიქცაო.

წყალი შეიძლება გამაგრდეს, ან გაქრეს. გამაგრებულ წყალს ყინული ეწოდება. გამშრალს — ორთქლი.

სხვათა შორის, არა მარტო წყალი, ოქროც შეიძლება აორთქლდეს, თუ მას უმეთვალყურეოდ დავტოვებთ.

ზეციდან მოვლინებულ წყალს წვიმა ანუ ნალექი ეწოდება. ნალექების შემცირებას შეიძლება გვალვა მოყვეს. მთლად უნალექობის შედეგად კი უდაბნო ჩნდება. უდაბნოში, როგორც ვიცით, წყალი არაა, მაგრამ, ზოგის აზრით, იქაც შეიძლება თავლს წყალი დაალევინო. თუ წყალში სამკურნალო მარილებია, მინერალურ წყალს უწოდებენ.

მთლად უმარილო წყალს გამოხდილი წყალი ჰქვია. იგი დასალევად არ გამოდგება, რადგან უმარილო კაცივით გამოთაყვანებულია.

წყალს გულწასულის მოსაბრუნებლადაც ხმარობენ. გულმოსულსაც უხდება წყალი, ოღონდ — ცივი.

ზოგს წყლის ნაყვა პროფესიად აქვს გადაქცეული და ისეთი სპეციალისტი ხდება, წყალი არ გაუვა.

წყლისაგან შეიძლება ღვინოც გავაკეთოთ, თუ მას შაქარსა და ჭაჭას დავუმატებთ.

რძით შეფერილი მოტკბო წყლის გაყინვით ვღებულობთ ნაყინს.

წყლისაგან აკეთებენ, აგრეთვე, სხვადასხვა სასმელებსა და ათასნაირ წვენებს.

ასე უმოწყალოდ იხმარება წყალი მანამ, სანამ წყლის სპეციალისტს წყალს არ შეუყენებენ.

შეყენებული წყლიდან კი ყველაფერი ამტივტივდება.

გიგლა გახტაძე

— საიდან მოერეკები ამ ღორებს?
— მოსახლეობისაგან შევიძინე, დამზადებას ორმაგად მივყიდი და „ყიგულსაც“ გავინაღდებ!

ხალხის კეთილისმყოფელები

საკმო ხიახლე და...

ხობი კოლხეთის გულია... რაიონის შეაგულს შუს ჰყენს წმენდე გორაკზე გადმომდგარი კოლხეთის დაბლობის დამრეობის ისტორიის ამსახველი მუზეუმის თეთრი, ლამაზი შენობა. ამ მუზეუმის შექმნა რაიონში მომხდარი სასიკეთო ძვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თვალსაზრისო ფაქტია. შორს რომ არ წავიდეთ, ამ მხრივ კიდევ ბევრი რამ თვალშისაცემი და გულგასახარი თვით რაიონულ ცენტრშია თავმოყრილი, ერთ-ერთი ასეთია თუნდაც მშვენიერი კულტურის სასახლე, რომელიც მშრომელთა ხელიერი დასვენების მიმზიდველი კერაა. შესანიშნავი სასახლის ნინა მოედანი თლილი ქვებით, ხასხასა გაზონებით, თანამედროვე ნაგებობებით, შადრევნით და სხვ.

მაგრამ რამდენიც უნდა ვთვალოთ, ობოლეთა პირველი ჰობი მაინც ბრწყინვალე საცურაო კომპლექსია – მოლურჯო, კამკამა წყალი, კეთილმოწყობილი აუზები. პრესდარბაზი, სასტუმრო...

კომპლექსი ახალია, იგი რაიონის ხელმძღვანელთა განსაკუთრებული ზრუნვა-ყურადღების ობიექტი გამხდარა, თუმცა ნაწილობრივ

აქაც იჩინეს თავი მშენებლთა ცოდვებმა: წყალი გროვდება გასახდელსა და საშხაპეებში, რასაც თან ერთვის ულირს მოქალაქეთა დაუდევრობის შედეგიც.

ცოტას გასცდენით კეთილგანწყობის აღმძვრელ მიდამოს თუ არა, უახლოეს უბანში, ნოეგიხევში, ეუნუბა-ხასიათი უმალ გეცვლება. მართალია, ნოეგიხევს ხევის ნაკვალევი არსად ატყვია, მაინც მის ცენტრალურ ქუჩას (გეთიხრეს, ის რუსთაველის სახელს ატარებსო) პრინციპული შეფასებით ვერც ქუჩას ვეწოდებთ, ვერც გზას... ამის უტყუარი ნიშნებია ყოფილ ასფალტ-ბეტონზე გაჩენილი ღრმა ორმოები უსწორმასწორო, სარეველებისაგან გაეუწმენდავი გზის კიდეები, და ბოლოს მტვრის სქელი ფენა, რომელიც ინტენსიური მოძრაობის წყალობით ყოველ წამს შეახსენებს თავის უნაყოფო არსებობას იქ მდებარე ორგანიზაციებს: ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექციას, სასოფლო საბჭოს, № 12 მოძრავმექანიზებულ კოლონას, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატს, დამზადების რაიონულ გაერთიანებასა და სხვებს. ალბათ დადგა დრო, რომ დასახლებულთა საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელებს გული შესტკიოდეთ ამ საკითხზეც, რაც შავ ლაქად მოჩანს საამო სიახლეთა ფონზე.

ეს „შავი ლაქა" რაიონის სხვა ადგილებშიც და სოფლებშიც ავადეკნებათ ავ ზმანებასავით. საინტერესოა, მეზაფრობენ თუ არა ამ გზებზე რაიონის საწარმოო საგზაო უბნის მეხვეკონნი?

გაინ მარტო კლუბი?

– ბიაში ვართო, – გვიხრეს მასპინძლებმა. ეს არის ხობის რაიონის ზემო ზონისათვის შესაფერისი, მთაგორიანი, მწვანეში ჩაშეკდარი სოფელი. სახელიც ეღერადი, ხატოვანი აქვს – ბია! კომშის ხე კი არსად შეგვინიშნავს. ის კი არა, ამ იმვიათი ხილის ბეღმოც დაგვავიწყდა, როცა № 5 ბრიგადის ნაკრეფ ჩაის ნედლეულში ემეტესად უხმ, ნაწილობრივ ჯოხებიანად ნაგლეჯ დუფეს დავადგით თვალი. უარესი აღმონნდა იმავე სოფლიდან ნოეგიხევის ჩაის ფაბრიკაში გაგზავნილი 1700 კილოგრამი „მწვანე ოქრო".

კოლმეურნეობის გამგეობის შენობის ქვედა სართულში კლუბია. კარები დაკეტილი დაგვხვდა.

– ვერ გავალებთ? – კკითხეთ ბიის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ირეკლოდ ნანიშვილი.

– არ ველოდი თქვენს მობრძანებას, თორემ ღიას დაგახვედრებდით, – ალალმართლად მოგვმართა კოლმეურნეობის თავკაცმა და ზერე დასძინა: – ფანჯრიდანაც კარგად ჩანს ყველაფერი. მართლაც, უფერული მინების მიღმა ადვილი დასანახი იყო ჩამონგრეული კარი, დანეხტიანებული კედლები, უწესრიგოდ მოყრილ-მოყრილი სკამები. ფარდის მაგიერი გაზუნებული ნაჭრები, მოუწყობელი სცენა.

წყლისა და ნესტის ძალა უფრო ძალუმად დასცემია სოფლის ყოველდღიური მოთხოვნილების მაღაზიის ჭერს. ერთ კუთხეში რკინა-ბეტონის ფილებიდან აღრე ნაწვიმარი წყალი წყეთავდა. გამოდგეული ალბათ ამიტომ „მოერიდა" ფქვილის, ვერმიცელის, მარილის და სხვა პროდუქტების ნიმუშების თვალსაჩინოდ გამოტანას და ფასების გამოცხადებას.

კარი ჩაის ფოთლის კრეფი ვერც მეზობელი სოფლების: საკედანოსა და ძველი ხიბულის კოლმეურნეობები (თავმჯდომარები: გიორგი ბუკია და ნუგზარ თუთბერიძე) მოწონებენ თავს, სოლო ძველი ხიბულის საბჭოთა მეურნეობის ჩაის პლანტაციებში იმდენი გვიძრა ამოსულა, ამ მეცნარის დამზადება რომ წარმოებდეს, მეურნეობას რესპუბლიკაში ტოლს ვერავინ დუფებდა და მიმდეკრებიც არ დაელეოდა.

რაკი სიტყვა მიმდვერობაზე ჩამოვარდა, ამასაც ვიტყვით: კარგია, თუ ახალი ხიბულის ლენინის სახელოსნის კოლმეურნეობასა რაიონში მიმდეკრები და მიმბაძველები ვამოუჩნდებიან ხარისხიანი ჩაის ნედლეულის კრეფაში, სიმინდის ყანების მოვლა-დამუშავებაში, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებაში, ოღონდ ნურავითარ შემთხვევაში –ნაკლებად მიზნობრივი მშენებლობით გატაცებაში.

საქმე შემდეგშია. 1970 წელს კოლმეურნეობაში აშენდა ორასი ათას მანეთად ღირებული კაპიტალური ადმინისტრაციული სახლი. შენობას ნაკლს ვერ მოუნახავთ, მაგრამ ოქვე გვერდით, შენდება ამავე დანიშნულების დიდი, სამსართულიანი შენობა. რომლის სახარფთაღრიცხვო ღირებულება 296 ათას მანეთს შეადგენს. კოლმეურნეობის თავმჯდომარის განმარტებით, ათი წლის წინათ აგებულ „ძველ" შენობას ორმოცდაათათასნენთიანი სარკონსტრუქციო-სარეშეტო სამუშაოების შემდეგ გადასცემენ სამაგვარ ბაგა-ბაღს, მაშინ როგა შენობის ეზო ფართობით და მდებარეობითაც ვერ გაამართლებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დანიშნულებას.

გაუქმებული არხი „ურრი" ღორებს

ახალსოფლის ღორების გამოსაზრდელი მეურნეობის ფერმებში უწესრიგობაა, ავი ენაც ვერ იტყვის, მაგრამ ეზოს უკანა მხარე და მოსაზღვარე სივრცე რომ ანტისანიტარიის კერა გამხდარა, არე ამის უოქმელობა ივარგებს. წუწუნისა და ნარეკი წყალის ჩასადენი ბეტონით დახურული ორმოები დიდი ხანია გავსებულა. ორმოები ისევ ამეწყებული, მათი ამოწმენდილ შეუძლებელია. ახლა მთელი სიმინდურე ახლოს გამავალ სამელიორაციო დამმარე არხში გროვდება. ამის გამო არხი დაყრუებულ, ვერც წუწუნს გაატარებს, ვერც წყალს. თუმცა ფერმის მთელ ტერიტორიაზე ათიოდე ღორის თარეშის შედეგად კუთხე-ალაგს დაყრუება არ დასტყობია...

არ ვიცით, რას ფიქრობენ „ალტიდმშენის" ხობის სამმართველოში ან ბუნების დაცვის ორგანოში? მხოლოდ ერთი რამ უდავოა: ბუნების, გარემოს დაცვა დღეს სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემაა. მისი უგულებელყოფა არავის ეპატიება. ეს უნდა ახსოვდეთ ქვაღლონის მეღორეობის მეურნეობის დირექტორს გივი ვეკუაინის და სხვა ხელმძღვანელებს.

ტექნიკა თუ ჯარმი?

სასურველი იქნება, თუ „საქმოფლტექნიკის" რაიგაერთიანების მეფეურნეო საკუთარი თვალით ნახავდნენ პატარა ფოთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის გარეგის ეზოში, ღია ცის ვეშე ფესეირეულ მოერიდმოერილ ტექნიკას – კომბაინებს, ტრაქტორებს, ავტომანქანებს, ჯართადგმეულ ნაწილებს და ყოველივე ამასთან ერთად ბევრ საჭირო დასაკეთებელ ტექნიკურ ტექტ ნიდარ მიქაბერიძესაც ერთად.

ELIBRARY.GE

კალმახი თუ ქმაკაკარტაში?

ქეგლია ხობისწყლის კალმახი. ხხვა თევზიც მრავლად ჰყავდა წყალუხვობითა და სისუფთავით ცნობილ მდინარეს. უკანასკნელ ხანს გახშირდა მდინარის აუზიდან (როგორც ხობის ტერიტორიაზე, ისე სხვაგანაც) ინერტული მასალების ამოღება. ბუნების პირველყოფილ სიმდიდრესა და სილამაზეს ხელყოფენ სამშენებლო ორგანიზაციები, კერძო პირებიც. ხობისწყლის სანაპირი დაისერა

კარიერებით. მდინარის ბუნებრივი კალაპოტისა და ფსკერის უხეში ხელყოფა კატასტროფულად მოქმედებს წყლის ბინადარზე, გარდა ამისა, ირღვევა ზღვასთან მდინარის შეერთებისა და წყალთა მიმოქცევის კანონზომიერება. ამასთან მდინარე ზღვა მუდმივად ჭუჭყიანდება საწვავ-საცხები მასალების ნარჩენებისაგან.

ყოველივე ამის გამო ხობელი ბუნების ქომაგნი ტაუეიდან რიდი ამბობენ, ახლა ხობისწყალში ექსკავატორები და ავტომანქანები უფრო მეტია, ვიდრე კალმახია...

ესეც, ალბათ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი გარდაუვალი „უეიფლებლობაა"!

დავითი ასკურავა,
ანზორ ბარამია,
„ნიანგის" სპეციალური კორესპონდენტები.

ილუსტრაციები ვ. ბაბუციისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ა. ერაძისა



!...

მოვლენა ლიტერატურულ ცხოვრებაში

წინა კვირას კრიტიკოსმა სულიკო წუნიამ ახალი სიტყვა თქვა თავის ზეგოქმედებაში: მის ბაგეს პირველად დასცდა სიტყვა „კარგი“.

ესიტყვოდ

ეკვირტოვანია

„**იმპორტომანია**“ ჩვენში არც დიდი ხნის წინათ შემოსული დაავადებაა! იგი საშუალო და განსაკუთრებით ახალგაზრდობის ასაკში გვხვდება. არის შემთხვევები — უფროსს ასაკშიც. განსაკუთრებით ავადდებიან მოზარდი ბავშვები, რომლებსაც მშობლებთან ან უფროს და-ძმებთან კონტაქტით ემართებათ ეს დაავადება!

მინდა, ამ დაავადებით შეპყრობილი ორი პატარა, სკოლის ასაკის გოგონას საუბარი მოგასმენინოთ, სკოლის ეზოში პირველ სექტემბერს, სწავლის დაწყების წინ:

ნათია: რა ლამაზი ბაფთები გაქვს!

ეკა: იტალიურია!

ნათია: კაბაც იტალიურია?

ეკა: არა, კაბა ამერიკულია, ბებიამ მაჩუქა!

ნათია: ტუფლები?

ეკა: ფრანგულია, გრეტა დეიდასთან მიყიდეს. მამამ თქვა, ძალიან ძვირიაო. დედამ უთხრა — შენ რა გესმის, სამაგიეროდ იმპორტულიაო!

ნათია: შენ ყველაფერი იმპორტული გაქვს?

ეკა: აბა რა, აი, ეს ჩანთაც, ტომ ხედავ, რამსიგრძე ფოჩვი აქვს, მექსიკურია, ეს დედიკოს ჩანთა იყო და ახლა მე მომცა. შენ სადაური რამეები გაცვია? რა ლამაზი კაბაა, იმპორტულია?

ნათია: არა, ეს კაბა ბებიამ შემიკერა, თვითონ მოპითა. ჩანთა დედიკომ მიყიდა მოსკოვში. შეხედე, რა ლამაზია! ბავშვები, ვარსკვლავები და მტრედები ახატია!

ეკა: ჩემს ჩანთასაც ლამაზი ქალი ახატია!

ნათია: მერე ვინ არის ეგ ქალი, იცი? ასე რომ ქალი სურათს გადაიღებს, ის კარგი ქალი არ იქნება! შენ იცნობ?

ეკა: არა, მაგრამ მამიკო და დედიკო ალბათ იცნობენ, ვოკრუგ ევროპი რომ იყვნენ, იქ გაიცნობდნენ!

ნათია: ეკა, წიგნები სადაური გაქვს? იმპორტული თუ ქართული?

ეკა: ჩანთაში მე „დედა-ენა“ მიდევს!

ნათია: კიდევ კარგი, თორემ მეგონა, იმპორტული წიგნებით უნდა ისწავლო-მეთქი.

ეკა: რა გელაპარაკო, ქაჯი ხარ, სიმონ!..

თინა ჟორჟოლიანი



ნახ. ა. ერაძისა

ნიგბათის მოლოდინში

სასიამოვნო სიურპრიზს ჰპირდება „ბავშვი-ნატი „დუ-ზაში“ მორიგე მეხანძრეებს: მალე ისინი იხილავენ ფოსფორის წერტილებიან, ცისფერ-ვიოლეტ დოშინოს კოსტიუმს.

ესიტყვოდ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი ამბები

მონადირეთა საყურადღებოდ

მონადირეთა კავშირი იუწყება, რომ ახალი სანადირო სეზონიდან, ტყვია-წამლის ეკონომიის მიზნით, მონადირეებს პირდაპირ მონკავშირის მაღაზიებში მიეყიდებათ სხვადასხვა ასორტიმენტის ნადირ-ფრინველი, დაწყებული მწყრიდან და დამთავრებული გარეული ღორით, შიგადაშიგ — შინაურით!

ბომბარდირი ჩვენს გვერდით

წლევანდელი საზაფხულო სესიების დროს უმაგალითო მიღწევა აჩვენა სტუდენტმა არცოდნაძემ: მან, ნათესავებისა და მეგობრების დახმარებით, შეძლო გაეკეთებინა ეგრეთ წოდებული ჰეთ-თრიკი, ანუ ჩააბარა სამი გამოცდა ერთ დღეს. რეკორდსმენმა პირობა დადო, რომ მომავალ სემესტრში გააუმჯობესებს ამ მიღწევას.

მალხაზ ცოტაძე

ნახ. მ. აბაშიძისა



№ 679 1983 28.XII

— რას ხოცავთ ერთმანეთს, მაგი ფულის მომცემი მაინც არ არის!

თანამდებობა ვიყიდე

ფელეტონი

თანამდებობა ვიყიდე
ძვირად და მამასისხლადა,
მე უძილობამ შემიპყრო,
ის მხართეძოზე ხვრინავდა!

რა ენაღვლება, დალოცვილს,
ნაწვავ-ნადაგი ხალხისა,
ნეტავ, ვიცოდე, ვინ ჰფარავს,
ასე ვინ გაახალისა?!

ყოველნაირი ვაჭრობა
გვინახავს, გაგვიგონია,
მაგრამ ამ სახის მევახშე
არსად, არავინ მგონია!

მე ცხრა ათასად მომყიდა
საწყობში ერთი ადგილი,
ფული შევკრიბე ძნელადა,
სათქმელად არის ადვილი!..

მაგრამ მმართველს კი სხვა კაცი
გაუტყავ-გაუძარცვია,
და იმ ადგილზე ბრძანებით
ამოჩნდა სულ სხვა კაცია!

მიხაკა დაჯდა სკამზედა,
მე „ოფსაიდში“ აღმოვჩნდი!..
მმართველმა ისე მიყვირა,
შიშით ველარსად გამოვჩნდი!

ღმერთმა უშველოს, რომ კიდევ
არსებობს მართლმსაჯულება! —
იმაზე გულისხმიერი
სხვა არვინ არ მეგულება!

ხუთი ათასი მივეცი,
და სიტყვა საქმედ აქციეს!..
მე, მიხაკო და მმართველი
ერთ სკამზე „მოგვათათბირეს“!

ახლა საწყობში მე ვზივარ,
მიხაკო დარჩა განზედა!
რაც მმართველს დღე დააყენეს,
იჯავროს თავის თავზედა!

დოდო ზურაბაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. ზოთა ლელაძისა

— ოქრო, კრესტავინა და რასპრედვალი მაშოვნინე და გაგიშვებ!

მოკლედ, გადავრჩი!..

მახსოვს, როგორ ვოცნებობდი უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვაზე. ვინ იცის, რამდენი ღამე მითევია თეთრად, მომავალზე ფიქრით — ნუთუ. ვეღირსები ოდესმე, სტუდენტი გავხდე-მეთქი?!. და, აი, დღეს თავი სიზმარში მგონია: მე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი ვარ! თავდაუზოგავმა მეცადინეობამ, არჩეული სპეციალობისადმი ერთგულებამ თავისი გაიტანა: საშუალო სკოლა დავამთავრე თუ არა, ჩავირიცხე ჩემს საოცნებო ინსტიტუტში, სათაყვანებელ ფაკულტეტზე. საოცარი მოკრძალებისა და მორიდების გრძნობით მავსებდა უმაღლესი საასწავლებლის კედლები. დაწყებული მეცნიერების ქურუმებიდან, დამთავრებული კარისკაცებამდე, ყველა ზეადამიანი მეგონა.

ასე გავიდა სექტემბერი, ასე მოვიდა ოქტომბერი. ლექციის გაცდენა კი არა, ერთი საათით თუ არ მივიდოდი ინსტიტუტში, იმ დღეს დაკარგულად ვთვლიდი!.. მიუხედავად ამისა, ერთხელ, თუმცა ტრანსპორტის მიზეზით, რამდენიმე წუთით მაინც დამაგვიანდა ლექციაზე. რა ვილუღლუღე თავის გასამართლებლად საგნის მასწავლებელთან, ახლაც არ მახსოვს!..

ინსტიტუტში ყველას ვუღიმოდი, ყველას მორჩილად ვუკრავდი თავს. სტუდენტური ცხოვრება კი დუღდა და გადმოდუღდა, ღონისძიებას ღონისძიება მოსდევდა, ყველგან აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი; მეგონა, სულ პატარა დარღვევისთვისაც ინსტიტუტიდან გარიცხვას არ მაკმარებდნენ! ის ერთი დაგვიანება კი სულს მიფორიაქებდა!..

ერთ მშვენიერ დღეს ფაკულტეტის სტენდზე გამოკრულ განცხადებას მოვკარი თვალი; ამა და ამ დღეს, ამა და ამ რიცხვში, ამა და ამ საათზე, ამა და ამ აუდიტორიაში ფაკულტეტის საერთო კრება ჩატარდებაო! მორჩა ჩემი ამბავი! „ალბათ ჩემი დაგვიანებისა გამო იწვევენ კრებას!“ — გავივლე გულში. სამი დღით ადრე გამოეკრათ განცხადება, სამი დღე და ღამე სტუდენტებითა და პროფესორ-მასწავლებლებით გაჭედილი აუდიტორია მესიზმრებოდა და მელანდებოდა, სამი დღე და ღამე ვიმართლებდი თავს მოგუგუნე აუდიტორიის წინაშე იმ ერთი დაგვიანების გამო!..

მოვიდა დანიშნული დროც. დაიწყო კრება. მისცეს სიტყვა მომხსენებელს. მომხსენებელმა ჩაიწმინდა ხმა, გადახედა აუდიტორიას ჯერ ზოგადად დაიწყო, შემდეგ დააკონკრეტა სათქმელი და საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მუშაობის შესახებ გააბა საუბარი. დადებით მხარეებზე ლაპარაკი რომ მოათავა, ნაკლოვანებათა მხილებაზე გადავიდა, საუბრის ტონი შეეცვალა, ხმა დაუბოხდა, შუბლი შეეკრა!.. შავი ღრუბელი ჩამოწვა აუდიტორიაში!..

— ამხანაგებო! — მკვეთრად და მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა მომხსენებელმა. ფერი დამეკარგა, გულმა ბაგაბუგი დამიწყო!.. — მიუხედავად საანგარიშო პერიოდში ჩატარებული კარგი მუშაობისა, ჩვენ მაინც უკმაყოფილონი ვართ! შეგვეძლო, უკეთ წარგვემართა საქმიანობა, დროზე მიგვეღო ზომები ცალკეულ ხარვეზთა აღმოსაფხვრელად. საანგარიშო პერიოდში ცუდი იყო წესრიგი სტუდენტთა შორის, ხშირი იყო ლექცია-სემინარების უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევები, დაგვიანებები!..

„მორჩა! დადგა ჩემი განკითხვის დღე!“ — გავივლე გულში.

— აცდენენ არა მარტო ცალკეული სტუდენტები, არამედ მთლიანი ჯგუფები. ამხანაგებო! — ისევ გადაავლო არწივის მზერა აუდიტორიას მომხსენებელმა, — ჯგუფხელება არა აქვთ შეგნებული თავიანთი მოვალეობა, კვირაში ერთხელ მაინც იკარგება ჯგუფიც ჟურნალი. თითქმის ქაღალდზე არსებობენ კურსბიუროები, ფაკულტეტის კედლის გაზეთის რედაქტორმა არც კი იცოდა, რომ ესოდენ საპატიო მოვალეობა ეკისრებოდა! მთლიანად დაიკარგა ის მაგიდა, სადაც პროფბიუროს საბუთები ინახებოდა!..

ისიც კი ვიფიქრე, დალოცვილებმა ხომ არ შესცოდეს. პირველკურსელები ფაკულტეტის საერთო კრებას რომ დაგვასწრესმეთქი?!.

მოკლედ, გადავრჩი!..

გასა გეგია

ნახ. ი. ხარნაუშვილისა

უსიტყვოდ

თუ...

ათეული წ ლ ე ბ ი ს მანძილზე ვაკვირდებოდი ბუნების მოვლენებს, ადამიანთა ყოფას, საერთოდ, ცხოვრებას, და აღმოვაჩინე მეტად საინტერესო კანონზომიერებანი, რამაც მომავალში უკვდავება უნდა მომიტანოს!

● თუ მ ზ ი ს ჩასვლის შემდეგ ნიავმა წამოუქროლა და ფოთლები ააშრიალა, ან არ წამოუქროლა და არც ფოთლები ააშრიალა, ეს იმას ნიშნავს, რომ ხვალ, დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე წყალს შეგიწყვეტენ!

● თუ მ ო წ მ ე ნ დ ი ლ ცაზე ღამით მთვარე გამოჩნდა, ან ღრუბლით დაფარულ ცაზე მთვარე არ გამოჩნდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ხვალ, დილით, ტროლეიბუსი დროზე მოვა, მაგრამ მალე გაფუჭდება და ავტობუსში გადაჯდები, ხოლო თუ განთიადისას ბინდი გაფერმკრთალდა, მაშინ დროზე ავტობუსი მოვა, ის გაფუჭდება და ტროლეიბუსში გადაჯდები!

● თუ ო ლ ი მ პ ი უ რ ი თამაშების საფეხბურთო ტურნირში პირველი მატჩი ფრედ არ დამთავრდა, ის წელი უსათუოდ ნაკიანი იქნება და ამერიკაში პრეზიდენტს აირჩევენ!

● თუ ს ა მ ს ა ხ უ რ შ ი მიმავალს ქარმა თავ-პირში ქაღალდის ნაფლეთები არ შემოგაყარა, ეს იმას ნიშნავს, რომ იმ ქუჩაზე ნაგვის მანქანას ჯერ არ გაუვლია!

● თუ შ ე მ ო გ ე ს მ ა მრავალხმიანი „პერეც-პერეც!“ „ბრიტვა-ბრიტვა!“ „ჟუვაჩკა-ჟუვაჩკა!“ — ეს იმას ნიშნავს, რომ იქვეა მიწისქვეშა გადასასვლელი!

რაფიელ მამულაშვილი

ნახ. ი. ჟვინაშვილისა



უსიტყვოდ

ჭკიკურტები

თუ დაბეჭდავს ერთ წერილს და
წაიკითხავს ორ სტატიას,
მერე თავი ისე მოაქვს,
თითქოს სიტყვის ოსტატია.

●

ვერა სძლევდა, ვერა წერდა
გამოცდაზე ნანა თემას
და მის შემრჩევს უგზავნიდა
წყევლა-კრულვას, ანათემას.

●

უზრუნველშყო საქომ ნელი
იმპორტული საქონელით,
სანაცვლოდ კი ნელიმ საქოს
ჩაუფარცხა საქმე ბნელი.

●

მაღაზიის გამყიდველი
აკლებდა, არ ამეტებდა,
მეტრიანის ტრიალითა
სანტიმეტრებს ამატებდა.

●

სიგარეტის მყიდველებს რომ
ურცხვად აკლებ უზალთუნებს,

ციხეში რომ თავს ამოყოფ,
ნეტავ, რაღას უზამ ფულებს?!

●

უმანეთოდ რომ არ უშვებ
კაცს სნეულის სანახავად, —
მამაშენის დუქანია,
თუ ბაბუის ყავახანა?!

●

— გაიგე? წელსაც თალიკომ
გამოცდა ვერ ჩააბარა!..
— თუკი დამხმარე არ ჰყავდა,
ჩაჰრიდნენ, ბეჩა, აბა, რა?!

●

არ ენდობა ანო ვინმეს —
თვითონვე წერს „ანონიმებს“.

●

ხმები გავრცელდა: ნესტორ ბატონი
მალე გახდება რესტორატორი.

თინა წითელხეველი

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ № 20 (1664). ოქტომბერი, გამოდის 1923 წ. ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლეგვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, ნოდარ დუმბაძე, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია** (მხატვარ - რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსულ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

●

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

●

გადაეცა ასაწყობად 31. 08. 83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18. 10. 83 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8, ოფსეტური ნაბეჭდი ფურცელი, 1,25, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,7. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის, 14 შეკვეთა № 2065. უე 07280. **ტირაჟი 138.300. ჟურნალი** [illegible] თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

●

ჩვენი მისამართი: 380008 თბილისი-8 რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54. მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78. მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38. განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38. მდივანი - მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76137